დავით აღმაშენებლის პროსპექტის №106 შენობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი
2012

თბილისის კოლონია, რომელსაც თბილისელები „ნემცების სოფელს“ ეძახდნენ1, მოიცავდა ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტსა და მიმდებარე ტერიტორიას. თბილისის კოლონიის დამაარსებლები 1818 წლის სექტემბერში ჩამოსული გერმანელები იყვნენ. იმხანად კოლონიაში 51 ოჯახი დასახლდა. თავიდან მათ სთავაზობდნენ მიწას ავლაბრის იქით, მაგრამ კოლონისტებმა კუკია ამჯობინეს და ხელისუფლებაც დაითანხმეს. კოლონისტებს მიეცათ ტერიტორია სოფელ კუკიის ჩრდილოეთით, დაახლოებით ახლანდელ თამარ მეფის პროსპექტამდე. აღმოსავლეთიდან კოლონიის მიწებს საზღვრავდა მდ. მტკვარი, დასავლეთიდან – ავჭალის გზა. თითოეულმა ოჯახმა მიიღო 2 ჰექტარზე ცოტა ნაკლები მიწა (იმდროინდელი საზომით – 1,78 დესეტინა). ეს გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე გერმანელთათვის გადაცემული მიწები სხვა კოლონიებში – თუნდაც დიდუბეში (ალექსანდერსდორფში), სადაც კოლონისტთა თითო ოჯახს 40 ჰექტარი მიეკუთვნა2. ბუნებრივია, თბილისის კოლონიაში ამდენი თავისუფალი მიწა არ არსებობდა, ის შეზღუდული იყო ქალაქისა და მისი მიმდებარე სოფლების უშუალო სიახლოვით. ამან თავიდანვე განსაზღვრა თბილისის კოლონიის სპეციფიკა – სხვა კოლონიებისაგან განსხვავებით, აქ მხოლოდ ხელოსნები დაასახლეს. მათ შორის იყვნენ თერძები, ხარაზები, კალატოზები, მეთუნეები, მჭედლები და სხვა. იმპერიის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ქალაქის ახლოს მცხოვრები გერმანელი ხელოსნები იოლად ნახავდნენ თავიანთი პროდუქციის გასაღების ბაზარს და ხელს შეუწყობდნენ თბილისის ეკონომიკის განვითარებას. ბევრი მათგანი ქირით დგებოდა საცხოვრებლად თბილისში და იქვე მუშაობდა3.

გარდა ხელოსნობისა, გერმანელები სოფლის მეურნეობასაც ეწეოდნენ. აღებულ მიწებზე მათ ბაღები და ბოსტნები გააშენეს. ჰყავდათ საქონელიც. გერმანელების დამზადებულმა მაღალხარისხიანმა საკვებმა პროდუქტებმა მალე მოიპოვეს აღიარება თბილისში.

1 თ. კვირკველია, ვ. ქურთიშვილი, *გერმანელთა დასახლება თბილისში, ლიტერატურა და ხელოვნება*, 1995, №1-6, გვ. 18.
2 გ. მანჯგალაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 61.
3 თ. ბერიძე, *ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია*, გვ. 219

ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისის გერმანული კოლონიის ისტორიასთან. კოლონისტებმა დიდი წვლილი შეიტანეს მტკვრის მარცხენა სანაპიროს ცენტრალური უბნების ფორმირებაში და საფუძველი ჩაუყარეს მის გეგმარებით სტრუქტურას. გერმანელების ჩამოსახლება საქართველოში 1817 წელს დაიწყო და მთელი XIX საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. გერმანელ კოლონისტთა უმეტესობა ვიურტემბერგიდან, ხოლო მცირე ნაწილი ბადენიდან იყო. თითქმის ყველანი მიეკუთვნებოდნენ სეპარატისტების ფანატიკურ სექტას, რომელსაც სწამდა, რომ 1846 წელს ქვეყნის აღსასრული დადგებოდა და თავის მრევლს მოუწოდებდა ამ თარიღს კავკასიაში შეხვედროდნენ.



საერთო ხედი კუკიაზე. XIX საუკუნის მიწურულის ფოტოსურათი.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათ მრავალი კოლონია შექმნეს, ამათგან ორი – თბილისის იმდროინდელ გარეუბნებში: ალექსანდერსდორფი დიდუბეში და თბილისის კოლონია კუკიაზე1. ორივე 1818 წელს დაარსდა.

1 გ. მანჯგალაძე, *გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში*, თბილისი, 1974, გვ. 30-32.

თბილისის კოლონია შედგებოდა მთავარი გზის ორთავე მხარეს განლაგებული მართკუთხა ნაკვეთებისაგან. ტოვარნიცკის მიერ შედგენილ 1833 წლის გეგმაზე უკვე ჩანს განაშენიანება ამ გზის გასწვრივ. შემდგომში მთავარი გზა მარცხენა ნაპირის მთავარ ქუჩად იქცა და მას დიდი მთავრის მიხეილის სახელი (Михайловская улица) ეწოდა. ეს არის ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტი. თანდათან გაშენდა მისი პარალელური ქუჩებიც.



მიხეილის პროსპექტის ბაღები მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან. XX საუკუნის დასაწყისის ფოტოსურათი.

1852 წელს თბილისის გერმანული კოლონია დაექვემდებარა თბილისის საქალაქო მმართველობას. შესაბამისად, მასზე გავრცელდა ქალაქის მშენებლობის წესები. ამიერიდან კოლონისტებს ეკრძალებოდათ ნებართვის გარეშე რაიმე მშენებლობის ჩატარება. 1862 წელს გერმანული კოლონია ოფიციალურად შეუერთდა ქალაქს.

1870-80-იანი წლებიდან კუკია და ყოფილი გერმანული კოლონია აქტიურად ებმება თბილისის ერთიან ურბანულ სტრუქტურაში. 1883 წელს აშენდა ცვრის ხიდი, რომელმაც დააკავშირა მტკვრის ორი ნაპირის ძირითადი მაგისტრალები – გოლოვინის და მიხეილის პროსპექტები. უბნის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რკინიგზის გაყვანა და რკინიგზის სადგურის აშენება.



1890-იანი წლების მიწურული თბილისის გეგმა გრ. მოსკეიჩის კატალოგის გზამკვლევიდან

მიხეილის პროსპექტი ყველაზე გრძელი ქუჩა იყო თბილისში – გადაჭიმული მუშტაიდის ბაღიდან ვორონცოვის ძეგლამდე. ორ-სამ სართულიანი მდიდრული სახლებითა და საზოგადოებრივი ნაგებობებით გაშენებული პროსპექტის თავისებურებას შეადგენდა უხვი გამწვანება. წესდება ავალდებულებდა გერმანელ კოლონისტებს დაერგოთ ხეები ქუჩების გასწვრივ და სახლების გარშემო. მათ ჰქონდათ ასევე ხეხილის დიდი ბაღები. თბილისის 1913 წლის გეგმაზეც კი ეს უბანი თბილისის სხვა უბნებთან შედარებით ბევრად უკეთ არის გამწვანებული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბაღების დიდი ნაწილი განადგურდა და დღემდე მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა.

დროთა განმავლობაში მიხეილის პროსპექტის ბაღები თბილისელთა გარითობისა და დასვენების საყვარელ ადგილებად იქცა. ზაფხულობით მიხეილის პროსპექტზე იდგებდა ბინას თბილისის რამდენიმე კლუბიც.

XIX საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული მიმდინარეობდა მიხეილის პროექტის კვთილმოწყობა. 1883 წელს მასზე მოძრაობა დაიწყო კონკამ (ცხენებშებმულმა ტრამვაიმ) მარშრუტით რკინიგზის სადგური – ვორონცოვის მოედანი. 1904 წელს ამუშავდა ელექტროტრამვაი. უფრო ადრე, 1902 წელს პროსპექტზე მოეწყო ელექტროგანათება. 1909 წელს მწყობრში ჩადგა ადამოვის ელექტროსადგური (მიხეილის პრ. №111). ის უფრო სრულყოფილი იყო და 1920-იან წლებამდე ემსახურებოდა არა მხოლოდ პროსპექტს, არამედ მთელ რაიონს1.

დავით აღმაშენებლის პროსპექტის განაშენიანების უმეტეს ნაწილს XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში აგებული შენობები შეადგენს. ბევრი ამ შენობათაგანი მაღალი მხატვრული და ისტორიული ღირებულებისაა: №166, გერმანიის საელჩო (XIX საუკუნის ბოლო), №150, მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორია (საპოლოო სახე მიიღო 1880-იან წლებში, არქ. ლ. ბილუფლდი), №128, არქიტექტორ შტერნის საკუთარი სახლი (1893, არქ. პ. შტერნი), №103, ყოფილი სასტუმრო „ცენტრალი“ (1897–1900, არქ. ლ. ბილუფლდი, ცვრანდა დამატებულია 1913 წელს, ჭერმწყის სკულპტურები შესასვლელში – კ. ვილსი), №79, ანდრეევლების სახლი (1901, არქ. ა. შიმკევიჩი), №36, ვრასტ ჭიჭინაძის სახლი2 (1903) და სხვა.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში პროსპექტზე რამდენიმე დიდი ნაგებობა გაჩნდა. მათი უმეტესობა სტალინურ პერიოდშია აგებული: №125, ყოფილი „მხატვრული ადზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლი“ (1938-1952, არქ. გ. ტერ-მიქელოვი; დაშენება – არქ. მ. კალაშნიკოვი), №66, საშუალო სკოლა (1935, არქ. ვ. ანდრიასოვი), საშუალო სკოლა ბაქოს ქუჩის კუთხეში (1937, არქ. მ. ქორჩაკიძე), №102-104, საცხოვრებელი სახლი (1938-1939, არქ. ს.

1 Г. Д. Бежанишвили, *Плехановский проспект*, თბ. 1945, ხელნაწერი, გვ. 5.
2 J. Baulig, M. Mania, H. Mildenberger, K. Ziegler, *Architekturführer Tbilisi, Saarbrücken*, 2004, გვ. 45, 48, 51, 52, 54; *საქართველოს ისტორიული ქალაქები: თბილისი*, მ. ბუღაიას და მ. ყანჩალაიას რედაქციით, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 152-156; მ. ლილუაშვილი, ნ. ჭანიშვილი, დ. ხოშტარია, *საფასადო ქანდაკება თბილისში*, თბილისი, 2008, გვ. 21

დემჩინელი), საცხოვრებელი სახლი (1950, არქ. ი. ჩხენკელი), №127, რკინიგზელთა კულტურის სახლი (1950, არქ. გ. ტერ-მიქელოვი).

ყველაზე მეტად იმდროინდელი ახალმშენებლობები შეეხო პროსპექტის ბოლო მონაკვეთს თამარ მეფის (მაშინდელი სადგურის, მერე ჩელიუსკინელების) ქუჩიდან მუშტაიდამდე. აქ აიგო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შენობა (1927-1930, არქ. მ. ბუზოლდი) და ე. წ. ტრამვაელთა სახლები (1926-1929, არქ. დ. ჩისლიევი)1. იმავე სტალინურ პერიოდში მთლიანად იცვალა სახე გაბაშენიანებამ პროსპექტისა და მარჯანიშვილის (ყოფილი კირხეს) ქუჩის გადაკვეთაზე. აქ აიღგა ძველი შენობები (მათ შორის ნეოგოთიკური არქიტექტურის ლუთერანული გვლესია, ე. წ. კირხე ანუ „კორკა“, აგებული ლ. ბილუფლდის მიერ 1894-1897 წლებში) და მოაწყვეს საცხოვრებელი სახლებით შემოფარგლული დიდი მართკუთხა მოედანი (1947-1949, არქ. მ. მელია)2. სტალინური შენობები ოთხ-, ხუთ- ან ექვსსართულიანია და ზომით შესამჩნევად სჭარბობს უფრო ადრინდელ სახლებს, მაგრამ მიუხედავად ამ მასშტაბური ჩარევისა, დავით აღმაშენებლის პროსპექტმა დიდწილად შეინარჩუნა სპეციფიკური ხასიათი, რომელსაც განსაზღვრავს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ორ-სამსართულიანი განაშენიანება. პროსპექტის მაღალი მხატვრული და კულტურულ-ისტორიული ღირებულების სწორედ ამ ხასიათით არის განპირობებული.

2010-2011 წლებში განხორციელდა დავით აღმაშენებლის პროსპექტის სარეაბილიტაციო პროექტი. სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები შეეხო თამარ მეფის გამზირსა და მარჯანიშვილის მოედანს შორის მოქცეულ ყველა ნაგებობას. მათ შორის დავით აღმაშენებლის პროსპექტის №106 შენობასაც (არქიტექტორები: ვ. გოგიაშვილი, მ. ბუხაიძე).

საკვლევი ნაგებობა მდებარეობს კვარტალში, რომელსაც ფარგლავს კ. მარჯანიშვილის, დ. უზნაძისა და გ. ტეტელაშვილის ქუჩები. იგი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს.

1 ნ. ყუანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, თბილისი, 1971, გვ. 46-49, 79.
2 იქვე, გვ. 276-278.



თანამედროვე ხედი

შენობის პროექტი 1877 წლის 6 იანვარს დამტკიცდა. მისი მფლობელი იყო ეკატერინე შეარცი, ხოლო არქიტექტორი – ლეონტოლდ ბილუფლდი1. ნაგებობა თავდაპირველად ორსართულიან საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა, მაგრამ 1930-იან წლებში, როდესაც მოხდა დავით აღმაშენებლის პროსპექტის რეკონსტრუქცია მეზობელი შენობების მსგავსად (№108, №110) მასაც დაუშენეს მესამე სართული. დაშენების პროექტი 1932 წლის 4 ნოემბერს დამტკიცდა. მშენებლობა 1933 წელს დასრულდა და სახლში საქართველოს გეოლოგთა სამეცნიერო ბაზა იქნა განთავსებული2. 2010-2011 წლებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებისას სახლს დაადგეს მანსარდა, ერთიანი დიზაინით გაკეთდა კომერციული ფართის ვიტრინები, რესტავრაცია ჩაუტარდა სადარბაზო კარებსა და ეზოს ლითონის ჭიშკარს, ასევე გარკვეული ცვლილება განიცადა ფასადის ცალკეულმა დეკორატიულმა ელემენტმა.

დღეს სახლი წარმოადგენს სამსართულიან, მრავალფუნქციურ შენობას მანსარდით. ის მთავარი ფასადით დავით აღმაშენებლის პროსპექტზე გადის,

1 სცნსა, ფონდი192 მა, №10726
2 Г. Д. Бежанишвили, *Плехановский проспект*, თბ. 1945, გვ.10. თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 5, 2ა №2455

ხოლო უკანა მხრიდან მოზრდილი ზომის შიდა ეზოს დაირთავს. პირველი სართული კომერციულად არის ათვისებული – აქ მდებარეობს მაღაზიები „კოფეინი“, „მერლინი“, კაფე-ბარი ,,პაემანი“ და სამიკიტნო „მაჭახელა“; ზედა ორი სართული საცხოვრებელი დანიშნულებისაა.

არსებული შენობის შედარება ლ. ბილფელდის მიერ შედგენილ პროექტთან ცხადყოფს, რომ პროექტი ნაწილობრივ შეცვლილი სახით განხორციელდა. ცვლილებები ძირითადად ფასადის გადაწყვეტას შეეხო. შენობის (მისი თავდაპირველი ორი სართულის) გეგმა და საერთო არქიტექტურულ გადაწყვეტა პროექტს ძირითადად ემთხვევა.



სახლი მთავარი ფასადი. 1877 წლის პროექტი. არქ. ლ. ბილფელდი.

მთავარი ფასადი შეულესავი ქვიშისფერი აგურისაა და უხვად არის გაფორმებული ნალესობაში გამოყვანილი, თეთრად და ყავისფრად (ამ უკანასკნელ ფერზე შეღებილია მხოლოდ ფანჯრების ქვეშ გამოყვანილი გეომეტრიული მოცულობები) დაფერილი დეკორაციული ელემენტებით. ფასადის ცენტრსა და კიდეებს მსუბუქი რიზალიტები აღნიშნავს. პროექტზე ცენტრალური რიზალიტი მეტად იყო აქცენტირებული და სამ დიობს მოიცავდა, მშენებლობისას კი გააკეთეს ერთი დიობი. პირველი სართული მშვილდთაღოვანი ფანჯრების რიგის ნაცვლად სწორკუთხა ფართო ვიტრინებით არის გახსნილი (საგსებით შესაძლებელია, რომ ვიტრინები გვიან იყოს გაჭრილი. ამ მოსაზრებას აძლიერებს ის ფაქტი, რომ 1933 წლის

სართულის მონაკვეთი – სადად, დეკორაციული გაფორმების გარეშეა დატოვებული (გარდა რიზალიტებისა, რომელთა ფანჯრის ძირები კედლის დონიდან ჩაწეული მართკუთხედებით არის აღნიშნული). პროექტისგან განსხვავებით, აგებული შენობის ფასადის ძირითადი სამკაული სწორედ მეორე სართულზეა თავმოყრილი. შუაკედლისები, პირველი სართულის მსგავსად, შეულესავი აგურის და ნალესობაში გამოყვანილი სწორკუთხედების მონაცვლეობით არის დამუშავებული. ფანჯრების თაღები საჭექი ქვების იმიტაციით არის აღნიშნული. პროექტზე შუა რიზალიტის ორსავე მხარეს მეორე სართულზე გადმოკოდებულია ლითონის აჟურული გადახურული აივნები, რომლებიც სამ-სამ დიობს მოიცავს. ეს აივნები არ განხორციელებულა. დღეს მხოლოდ რიზალიტებს აქვს ქვის აივნები. კიდურა რიზალიტებზე ისინი დეკორაციულად დამუშავებულ ქვის მოდულიონებზეა ჩამოყრდნობილი. აივნების თაღოვანი დიობები კი იონური სვეტებით არის ფლანკირებული. ორსავე რიზალიტს აგვირგვინებს კარნიზის თავზე აღმართული სეგმენტური ფრონტონები. 2010 წელს, ფასადის რეაბილიტაციის შემდეგ, ისინი განსხვავებული ფორმით აღადგინეს; ფრონტონის ნახევარწრე დღეს გაწყვეტილია და შუაში ტრაპეციის ფორმის მოცულობაა ჩასმული. პროექტზე ეს ფრონტონები უშუალოდ ფანჯრებზე იყო დასმული.

ოდნავ განსხვავებულად არის გადაწყვეტილი ცენტრალური რიზალიტი. მისი აივანი არ სცილდება კედლის ზედაპირს, ხოლო კარის დიობი სწორკუთხაა. 2010 წლამდე ფრონტონი აქ არ იყო, თუმცა პროექტზე დიობის თავზე ნაჩვენებია სამკუთხა ფრონტონი. 2010 წლის რაბილიტაციისას აქაც ისეთივე ფრონტონი გააკეთეს, როგორიც გვერდითა რიზალიტებზეა.

ფასადს (მესამე სართულის დაშენებამდე) მაღალი ანტაბლემენტი ასრულებდა. მის ქვედა ნაწილს შეადგენს ფრიზი, რომელზეც შეულესავი აგურის გლუვი მონაკვეთები შეწყვილებულ ტრიგლიფებთან მონაცვლეობს. (მეორე სართულზე გლუვ მონაკვეთებს შეესაბამება ფანჯრები, ტრიგლიფებს – შუაკედლისები). ტრიგლიფების თავზე გაკეთებულია შეწყვილებული კრონშტეინები, რომლებსაც ეფუძნება კარნიზის გადმონაშვერი. კარნიზის ქვედა ნაწილი კრონშტეინების დონეზეა და მსხვილი კბილანების რიგით არის შემკული.

პროექტზე პირგელი სართულის მარცხენა მონაკვეთზე ვიტრინებია ნაჩვენები, მარჯვენაზე – ფანჯრები), ხოლო მეორე სართულზე შუა რიზალიტის აქეთ-იქით სიმეტირულად განთავსებული ოთხ-ოთხი სწორკუთხა ფანჯრის ადგილას დღეს ნახევარწრიულთაღოვანი დიობებია. ფასადის მარჯვენა ნაწილში – ხუთი, მარცხენაში – ექვსი. ფანჯრების სხვადასხვა რაოდენობა ოდნავ ასიმეტირულს ხდის ფასადს.



სახლის ფასადი. 1950-იანი წლების ფოტო.

პირველ სართულზე ვიტრინებს შორის მოქცეული კედლის გიწრო მონაკვეთებზე მონაცვლეობს შეულესავი აგურის წყობა და ნალესობაში გამოყვანილი მართკუთხედები. ზემოთ, უშუალოდ დიობების თავზე, შეულესავი აგურის გიწრო სარტყელია, რომელსაც კბილანების რიგი გაუყვება. სართულშუა სარტყელი ნალესობაში გამოყვანილი სწორკუთხა გეომეტრიული ელემენტებით არის გაფორმებული. პროექტზე ის – ისევე, როგორც მეორე



სახლის გეგმა. 1877 წლის პროექტი.

მესამე სართული სახლს, როგორც ითქვა, 1933 წელს დაუშენდა. პროექტს ზუსტად არც ის მიჰყვება, მშენებლობისას მცირე ცვლილებები აქაც შეუტანიათ. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ პროექტი უფრო მკაცრად კონსტრუქტივისტულია, აშენებულ სართულზე კი დამატებულია ტრადიციული არქიტექტურული ელემენტები. რიზალიტების გაგრძელებები, პროექტზე ნაჩვენები სწორკუთხა ფანჯრების ნაცვლად, თითო თაღოვანი დიობით იხსნება. კიდურა დიობები კანელირებული პილასტრებით არის ფლანკირებული, ხოლო ცენტრალური – მასიური ნახევარსვეტებით, რომლებიც აშკარად ძველის მიბაძვით არის გაკეთებული, თუმცა საკმაოდ უხეიროდ. მესამე სართულის ყგელა ფანჯარას პროფილირებული საპირე შემოუყვება. ფასადი ასევე პროფილირებული კარნიზითა და დაბალი გლუვი პარაპეტით სრულდებოდა. პროექტის მიხედვით, პარაპეტი მხოლოდ რიზალიტების თავზე უნდა ყოფილიყო, ხოლო მათ შორის არსებული მონაკვეთები ლითონის აჟურულ მოაჯირს უნდა შეეგსო. ამ დეტალმაც ცვლილება განიცადა და როგორც ჩანს საბოლოოდ აღარც განხორციელებულა.



მესამე სართულის დაშენება. 1932 წლის პროექტი.

დღეს მესამე სართულს ასრულებს რიკულებიანი მოაჯირი, რომლის უკან ყაიფუერი, მართკუთხა ფორმის, მსუბუქად ტალღოვანზედაპირიანი მასალით დაფარული მანსარდა მოჩანს. მას თორმეტი სწორკუთხა და კიდეებში თითო თადოვანი ფანჯარა ანაწევრებს. დიობებს პროფილირებული საპირე შემოუყვება.

№106 სახლს გეგმაში ლათინური U-ს ფორმა აქვს. ის მოზრდილი შენობაა და მისი ყველა მონაკვეთის ერთმანეთთან კავშირს რამდენიმე სადარბაზო უჯრედი უზრუნველყოფდა. კიდურა რიზალიტებში განთავსებული სადარბაზოებიდან დღეს მხოლოდ მარჯვენა ფუნქციონირებს (მარცხენაში კაფუ-ბარი ,,პაემანია" განთავსებული). სადარბაზოში ხის ორფრთიანი კარიდან შევდივართ. კარს ხეში ნაკვეთი არქიტექტურული დეტალები ამკობს და ლითონის ამურული ცხაურები აქვს. სადარბაზოს პირველი სართულის კედლები პილასტრებით და მათზე გადასროლილი ნახევარწრიული თაღებით არის დაშუშაებული, ხოლო პლაფონს შემოუყვება მცენარეული ორნამენტების ფრიზი, რომლის შიგნით მძივიერით აკინძული ბურთულების მწკრივით

შემოსაზღვრული მართკუთხედია ჩაწერილი. ორივე სართულის იატაკზე მოჭიქული კერამიკული ფილებია დაგებული. ასეთივე ფილები – ალისფერი სამყურა ორნამენტი დია ყვითელ ფონზე – დავით აღმაშენებლის პროსპექტის რამდენიმე სახლში გვხვდება (მაგალითად, №149ა-ში). კიბეს ლითონის ამურული მოაჯირი და ამურული დგეტალებით შემკული საფეხურები აქვს.

შიდა ეზოში შესასვლელ ტალანი, რომელიც შუა რიზალიტის პირველი სართულის არეშია მოწყობილი, ლითონის ამურული კარით იკეტება. ალაყაფის სამფრთიანი კარი ორ ფერშია გადაწყვეტილი: ძირითად მუქ ნაცრისფერ ტონზე ოქროსფერით ფოთლოვანი ორნამენტი და კონცენტრული წრეებია დატანილი.



ალაყაფის კარი. 1932 წლის პროექტი.

წაგრძელებული ტალანის მარცხენა კედლის ბოლოში კიდევ ერთი სადარბაზო კარია გაჭრილი, საიდანაც სახლის მარცხენა მონაკვეთში ვხვდებით. სადარბაზოს იატაკზე ორივე სართულზე რუხი, შავი და თეთრი ფილები აგია. კიბის ამურული მოაჯირი ლითონისაა.

შიდა ეზოს მხარეს მიმართულ ფასადებს ხის ჭვირულმოაჯირიანი შუშაბანდები აქვს. შუშაბანდები ცალკეულ მონაკვეთებში აგურით და ბლოკით ამოუშენებიათ, თუმცა მთლიანობაში კარგად არის შემონახული და წარმოდგენას გვიქმნის ეზოს თავდაპირველ სახეზე.

საკვლევი შენობის გამორჩეულ მხატვრულ დირებულებას, პირველ რიგში, განაპირობებს აღმაშენებლის პროსპექტზე გაშომაღალი ფასადი. ის მეზობელ


MERLINI


MERLINI



